გურთიად
GÜRTİAD

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*

*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

*2020 / 21 Ağustos / აგვისტო*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon / ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 716.9 | 4 763.5 | 5.1 % | 11.6 % | 5.7 % |

**Başbakan'ın açıklamaları**
**პრემიერ-მინისტრის განცხადებები**

Başbakan, hükümet toplantısında, çocuklar için duyurulan sosyal yardım programının şimdiden başlatıldığını ve ülkede 366.000 aileden 600.868 çocuğun kayıt altına alındığını kaydetti.



პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, რომ გამოცხადებული ბავშვების სოციალური მხარდაჭერის პროგრამა უკვე ამოქმედდა და უკვე დარეგისტრირებულია 600 868 ბავშვი, რომელიც წარმოადგენს ქვეყანაში 366 000 ოჯახს.

Buna ek olarak, hükümetin kararıyla yeni bir ek programı çıkarılacak - "Geleceği Dik". Afet nedeniyle fidanları zarar gören veya yok olan Gürcü çiftçilere, devlet yardımı ile yeni, daha kaliteli fidan çeşitleri sağlanacak. Bu program aynı zamanda üzüm ağaçlarını da kapsayacaktır.

გარდა ამისა, მთავრობის გადაწყვეტილებით, გაჩნდება ახალი დამატებითი პროგრამა - „დანერგე მომავალი“. ის შესაძლებლობას მისცემს ქართველ ფერმერს, რომელსაც სტიქიის გამო დაუზიანდა ან გაუნადგურდა ნერგები, სახელმწიფოსგან დახმარების სახით მიიღოს ახალი, უფრო ხარისხიანი ჯიშები. ეს პროგრამა ვაზსაც შეეხება.

Ayrıca Gürcistan Hükümeti, Ambrolauri'de sunulan yeni bir program başlatıyor - "Devlet - Partneriniz". Yeni program, hükümet destek programlarını bölgesel ölçekte genişletmek ve her çiftçinin bu hükümet programlarına katılmasının yanı sıra eksiksiz bilgi almasını sağlamak için oluşturulan bir fırsattır. Bu program çerçevesinde Adalet Bakanlığı'nın yardımıyla 80 toplum merkezi ve 24 adalet evine tüm Gürcistan vatandaşları gelebilir ve Tiflis'te alacağı hizmetlerin aynısından yararlanabilir.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა იწყებს ახალ პროგრამას - „სახელმწიფო - შენი პარტნიორი“, რომლის პრეზენტაცია ამბროლაურში გაიმართა. ახალი პროგრამა არის შესაძლებლობა, რომ რეგიონული მასშტაბით გაიშალოს სახელმწიფოს მხარდაჭერის პროგრამები და თითოეულმა გლეხმა ადგილზე შეძლოს სრულფასოვანი ინფორმაციის მიღება, ასევე ამ სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა. ამ პროგრამის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს დახმარებით, 80 საზოგადოებრივ ცენტრში და 24 იუსტიციის

სახლში, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, მივიდეს და მიიღოს ზუსტად ის მომსახურება, რომელსაც მიიღებდა თბილისში.

Ek olarak, kanser hastalarının tedaviye erişimini artırmak amacıyla, evrensel sağlık programı kapsamındaki anti-kanser ilaçlarının listesi genişlemekte ve sonuç olarak, ilaçların yıllık sınırı 8.000 GEL artırılmaktadır. Yeni program, kanser hastası olan toplam 40 bin Gürcü vatandaşı etkileyecek.

ამასთან, ონკოლოგიური პაციენტებისთვის მკურნალობისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების სია ფართოვდება და შესაბამისად, მედიკამენტებზე გამოყოფილი წლიური ლიმიტი 8 000 ლარით იზრდება. ახალი პროგრამა ჯამში საქართველოს 40 ათასამდე მოქალაქეს შეეხება, რომელიც ონკოლოგიური პაციენტია.

**შეხვედრა სარეიტინგო კომპანია "Fitch" - ის წარმომადგენლებთან.**
**Reyting şirketi "Fitch" temsilcileri ile görüşme.**

Reyting şirketi "Fitch" tarafından Gürcistan'ın kredi notu ve ülke ekonomisindeki güncel gelişmeler, Bakan Natia Turnava ve ekonomik araştırma ve bilimsel kuruluşları temsilcilerinin bir araya geldiği Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı'nda tartışıldı.



სარეიტინგო კომპანიის "Fitch" - ის მიერ საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი და ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები განიხილეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, სადაც მინისტრი ნათია თურნავა ეკონომიკური პროფილის კვლევითი და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

Bakana göre, reyting şirketinin Gürcistan ile ilgili değerlendirmesi, şirketin bölgemiz ve diğer gelişmiş ülkelerle ilgili olarak aldığı kararların arka planı açısından önem taşımaktadır. Ona göre "Fitch", yakın zamanda değerlendirdiği birçok ülkenin notlarını büyük ölçüde düşürdü. Natia Turnava, "Bu arka plana karşı, Gürcistan'ın ülke notunu ve beklentilerini değiştirmeden bırakmak, Gürcistan'ın ekonomik politikasına, iş ortamına, kurumlarına ve yönetimine olan güvendir." - dedi. "Fitch", tutarlılığı ve güvenilirliği ülkenin şoklara karşı direncine katkıda bulunan Gürcistan hükümetinin ekonomi politikalarına övgüde bulundu. Bu değerlendirme önemli bir faktör olup uluslararası yatırımcılara ve finans kuruluşlarına son derece olumlu bir mesajdır. Bu, Gürcistan'daki ekonomik durumun istikrarlı olduğu ve iş ortamının mevcut iş faaliyetlerinin geliştirilmesi ve yenilerinin başlatılması için elverişli olduğu anlamına gelmektedir, "diye ekledi Natia Turnava.

AK YIL ZEMIN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

მინისტრის განცხადებით, სარეიტინგო კომპანიის შეფასება საქართველოს მიმართ მნიშვნელოვანია იმ გადაწყვეტილებების ფონზე, რომლებიც კომპანიამ როგორც ჩვენი რეგიონის, ასევე მსოფლიოს უფრო მეტად განვითარებული ქვეყნების მიმართ მიიღო. მისი თქმით, „Fitch“-მა, ძირითადად, შეამცირა ყველა იმ ქვეყნის რეიტინგის პერსპექტივა ან სუვერენული რეიტინგი, რომლებიც ბოლო პერიოდში შეაფასა. „ამ ფონზე საქართველოსთვის სუვერენული რეიტინგისა და პერსპექტივის უცვლელად დატოვება არის ნდობა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის, ბიზნეს გარემოს, ინსტიტუციებისა და მმართველობის მიმართ. „Fitch“ - მა დადებითად შეაფასა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის თანამიმდევრულობა და საიმედოობა ხელს უწყობს ქვეყნის მდგრადობას შოკების მიმართ. ეს შეფასება მნიშვნელოვანი ფაქტორი და უაღრესად პოზიტიური გზავნილია საერთაშორისო ინვესტორებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიმართ, რომ საქართველოში ეკონომიკური ვითარება სტაბილურია, ბიზნეს გარემო კი ხელსაყრელი როგორც არსებული ბიზნეს საქმიანობის განვითარებისთვის, ასევე ახლის დასაწყებად“ - განაცხადა ნათია თურნავამ.

**ონლაინ შეხვედრა კომპანიასთან „Ferring Pharmaceuticals”**
**„Ferring Pharmaceuticals” ile online toplantı**



Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Natia Turnava ve "Gürcistan'da Üretin" Ajansının Direktörü Mikheil Khidureli, büyük İsviçre ilaç şirketi "Ferring Pharmaceuticals" ile online bir toplantı yaptı. Şirket temsilcileri Gürcistan'daki mevcut ekonomik durumu ve yatırım ortamını olumlu değerlendiriyor.

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı, "Gürcistan'da Üretin" ajansı ile birlikte, “Bosch Service Solutions”, “Nestle”, “Stadler Rail” ve diğer şirketlerle de halihazırda online toplantıların yapıldığı yabancı yatırımı çekme planını sürdürüyor.

Bu bağlamda, Gürcistan'da ticari faaliyetlerini başlatmak veya genişletmek için 400'den fazla uluslararası şirket ile toplantılar yapılmıştır.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დირექტორმა მიხეილ ხიდურელმა მსხვილ შვეიცარულ ფარმაცევტულ კომპანიასთან „Ferring Pharmaceuticals”, ონლაინ შეხვედრა გამართეს. კომპანიის წარმომადგენლები საქართველოში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას და საინვესტიციო გარემოს დადებითად აფასებენ.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სააგენტოსთან „აწარმოე საქართველოში“ ერთად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გეგმას აგრძელებს, რომლის ფარგლებშიც უკვე გაიმართა ონლაინ შეხვედრები ისეთ კომპანიებთან, როგორებიცაა “Bosch Service Solutions”, “Nestle”, “Stadler Rail” და სხვა.

აღნიშნულის ფარგლებში, უკვე გაიმართა შეხვედრები 400 - ზე მეტ საერთაშორისო კომპანიასთან საქართველოში მათი ბიზნეს აქტივობის დაწყების ან გაფართოების მიზნით.

**“მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმი“**
**"Metro Euphoria Hotel Batumi"**

Gürcistan Borsası'na kote olan "Metro Euphoria Hotel Batumi" şirketi 2019 yılında 27.004 milyon GEL kazanç elde etti. Şirketin şu anda 1 oteli bulunmakta ve 5 oteli de kiralamıştır.

კომპანიამ „მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმმა“, რომელიც საქართველოს საფონდო ბირჟაზე დაილისტა, 2019 წელს 27,004 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო. კომპანია ამ ეტაპზე 1 სასტუმროს ფლობს და 5 სასტუმრო იჯარით აქვს აღებული.

Referans olarak, Türk işadamı Galip Öztürk'ün şirketi "Metro Euphoria Hotel Batumi" nin hisseleri geçtiğimiz hafta Gürcistan Borsası'nda listelenmişti. Gürcistan Menkul Kıymetler Borsası'nın B kategorisi listeleme ve ticaret sisteminde B sınıfı hisselere (ISIN GE1100003932) izin verildi. Hisselere borsa kodu (ticker) - MEHBB verildi. Borsada her biri 1 GEL değerinde 54.476.929 hisse kote edilmiştir.

ცნობისათვის, საქართველოს საფონდო ბირჟაზე თურქი ბიზნესმენის გალიფ ოზთურქის კომპანია „მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმის“ აქციები გასულ კვირას დაილისტა. B კლასის აქციები (ISIN GE1100003932) საქართველოს საფონდო ბირჟის B კატეგორიის ლისტინგსა და სავაჭრო სისტემაშია დაშვებული. აქციებს მიენიჭა საბირჟო კოდი (ტიკერი) - MEHBB. ბირჟაზე 54,476,929 აქცია დაილისტა, თითოს ნომინალი 1 ლარია.

Metro Euphoria Hotel Batumi,% 100 Metro Ticari Ve Mali Yatırımlar Holding'e aittir. Ana hissedarı, yine Galip Özturk'a ait olan Galip Öztürk Turizm Yatırımları'dır.

Finansal göstergelere gelince, 2019 yılı verilerine göre "Metro Euphoria Hotel Batumi" 87.570 milyon GEL değerinde varlığa sahip. Raporlara göre, şirketin 2019'daki geliri 27.004 milyon GEL (2018'de - 18.292 milyon GEL) olup, faaliyet karı 2.993 milyon GEL (2018'de 2.439 milyon GEL) ve net kar 2.550 milyon GEL’dir.(2018'de - 2.13 milyon GEL) .

კომპანია „მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმის“ 100%-იანი წილი ეკუთვნის „მეტრო თიჯარი ვე მალი იათირიმლარ ჰოლდინგს“. მისი მაჟორიტარი აქციონერია „გალიფ ოზთურქ ტურიზმ იათირიმლარი“, რომელიც ასევე გალიფ ოზთურს ეკუთვნის.

რაც შეეხება ფინანსურ მაჩვენებლებს, „მეტრო ეიფორია ჰოტელ ბათუმი“ 2019 წლის მონაცემებით, ფლობს 87.570 მლნ ლარის აქტივებს. ანგარიშგების მიხედვით, 2019 წელს კომპანიის შემოსავალი შეადგენდა 27,004 მლნ ლარს (2018 წელს - 18, 292 მლნ ლარი) საოპერაციო მოგება 2.993 მლნ ლარი იყო (2018 წელს - 2,439 მლნ ლარი), წმინდა მოგება კი 2.550 მლნ ლარი (2018 წელს - 2.13 მლნ).

AK YIL ZEMIN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

**Gürcistan'ın Dış Ticareti – Ocak – Temmuz 2020 Yılı**
**საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2020 წ. იანვარ - ივლისი**

2020 yılı Ocak-Temmuz döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 6 030.6 milyon ABD doları teşkil etmiştir ve bu rakam bir önceki yılın aynı verilerine kıyasla %17.6 ile oranında azalmıştır. İhracat 1 758.5 milyon ABD dolar (düşüş oranı %16.8), ithalat ise – 4 272.1 milyon ABD doları (düşüş oranı %17.9) olmuştur. Gürcistan negatif ticaret bilançosu, 2020 yılı Ocak-Temmuzda, 2 513.6 milyon dolara yükselerek dış ticaret cirosunun % 41.7'ni teşkil etmiştir.

2020 წლის იანვარ-ივლისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 6 030.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17.6 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 1 758.5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (16.8 პროცენტით ნაკლებია), ხოლო იმპორტი 4 272.1 მლნ. აშშ დოლარს (17.9 პროცენტით ნაკლებია). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2020 წლის იანვარ ივლისში, 2 513.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.7 პროცენტია.

**İhracat ve İthalat Dinamikleri / ექსპორტის და იმპორტის დინამიკა**




2020 yılı Ocak-Temmuz döneminde Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük on ticaret ortağının payı %77.2 olarak belirlenmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Çin 248.3 mln $, Azerbaycan 230.7 mln $.,Rusya 229.1 mln $.

2020 წლის იანვარ-ივლისში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 77.2 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: ჩინეთი (248.3 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (230.7 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (229.1 მლნ. აშშ დოლარი).

2020 yılı Ocak-Temmuz döneminde Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük on ticaret ortağının payı %69.5 olarak belirlenmiştir. En büyük ticaret ortakları şunlardır: Türkiye – 728.6 mln $, Rusya – 473.0 mln $, Çin – 379.3 mln $.

2020 წლის იანვარ-ივლისში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 69.5 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (728.6 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (473.0 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (379.3 მლნ. აშშ დოლარი)

## Korona Virüs
## კორონა ვირუსი

Son istatistik verilerine göre dünya çapında korona virüs vakalarının sayısı 22 milyonu aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 22 888 076, vefat edenlerin sayısı – 797 599, iyileşenlerin sayısı – 15 536 926. En çok vaka sayısı ABD, Brezilya, Hindistan, Rusya, Güney Afrika ve Peru da görülmüştür. Konuya ilişkin diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

| Ülke<br>ქვეყანა | Toplam Vaka<br>დაავადებულ<br>ი | Can Kaybı<br>გარდაცვლილი | İyileşme<br>გამოჯანმრთელებუ<br>ლი | Hasta<br>პაციენტი |
|---|---|---|---|---|
| ABD / აშშ | 5,746,534 | 177,438 | 3,095,910 | 2,473,186 |
| Brezilya / ბრაზილია | 3,505,097 | 112,423 | 2,653,407 | 739,267 |
| Hindistan/ ინდოეთი | 2,910,032 | 55,002 | 2,160,059 | 694,971 |
| Rusya / რუსეთი | 946,976 | 16,189 | 761,330 | 169,457 |
| Güney Afrika/სამხრეთ აფრიკა | 599,940 | 12,618 | 497,169 | 90,153 |
| Peru / პერუ | 567,059 | 27,034 | 380,730 | 159,295 |
| Meksika / მექსიკა | 543,806 | 59,106 | 371,638 | 113,062 |
| Kolombiya/კოლუმბია | 513,719 | 16,183 | 339,124 | 158,412 |
| Şili / ჩილე | 391,849 | 10,671 | 366,063 | 15,115 |
| İran / ირანი | 354,764 | 20,376 | 305,866 | 28,522 |
| | | | | |
| Türkiye / თურქეთი | 254,520 | 6,058 | 234,797 | 13,665 |
| Gürcistan / საქართველო | 1,385 | 17 | 1,128 | 240 |
| | | | | |
| Total (Dünya)<br>სულ (მსოფლიო) | 22,888,076 | 797,599 | 15,536,926 | 6,553,551 |

AK YIL ZEMIN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკურიმონაცემებით 22 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 22 888 076 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 797 599 ხოლო გამოჯანმრთელდა 15 536 926პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ბრაზილიას, ინდოეთს, რუსეთს, სამხრეთ აფრიკას, მექსიკას და პერუს ჰყავს.

## Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

USD/GEL –3.0718 TRY/GEL – 0.4211 EUR/GEL –3.6352 GBP/GEL – 3.0311

GEL/USD
14 – 21 Ağustos 2020




USD/TRY
14 – 21 Ağustos 2020




TRY/GEL
14 – 21 Ağustos 2020




ALTIN – **62.168.37 kg/usd**
14 – 21 Ağustos 2020

